კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

2024

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის აფილირებასთან დაკავშირებული წესები და პირობები.

1.2. აფილირება არის აკადემიური პერსონალის მართვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ამოცანაა პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური აქტივობის გაუმჯობესება და ინტენსივობის ზრდა.

1.3. უნივერსიტეტის პოლიტიკა, აკადემიური პერსონალის აფილირების თვალსაზრისით, მიზნად ისახავს, რომ უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის უმეტესი ნაწილი იყოს უნივერსიტეტთან აფილირებული.

2. აფილირების განსაზღვრება

2.1. აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირება, გარდა აკადემიური თანამდებობისთვის გათვალისწინებული ვალდებულებებისა, ასევე გულისხმობს შემდეგს:

2.1.1. აფილირებული პერსონალი ძირითად კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტში.

2.1.2. აფილირებული პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევები ითვლება უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ კვლევად.

2.1.3. პერსონალი ვალდებულია, აფილირებული იყოს მხოლოდ შპს ,,კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტთან“.

2.2. უნივერსიტეტის სივრცეში პერსონალის აფილიცაიის პოლიტიკისა და მიზნების ეფექტიანი განხორციელებისთვის, უნივერსიტეტში დადგენილია აფილირების 2 დონიანი სისტემა.

2.2.1. აფილირების პირველი კატეგორია - გულისხმობს პერსონალის სრულ აფილირებას და პერსონალთან ურთიერთობაში წინამდებარე წესით დადგენილი უფლება-მოვალეობის სრულ ინტეგრირებას.

2.2.2. აფილირების მეორე კატეგორია - გულისხმობს პერსონალის სრული აფილირების განზრახვის ორმხრივ დაფიქსირებას, რა დროსაც ორივე მხარე ცდილობს ხელი შეუწყოს ურთიერთობაში აფილირების შინაარსის ეტაპობრივად, მეტი ხარისხით დანერგვას, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავს ურთიერთობის პირველი კატეგორიის აფილირებად გარდაქმნას.

3. აფილირებული პერსონალის შერჩევა

3.1. უნივერსიტეტში აფილირებული პერსონალის სტატუსის მოპოვება შეუძლია უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმებულ პირებს.

3.2. აკადემიური პერსონალის მიერ აფილირებასთან დაკავშირებით ნების გამოვლენის შემთხვევაში, აფილირების მსურველ პირთან შესაბამისი შეთანხმების გაფორმების საკითხს, ასევე აფილირების კატეგორიის ცვლილების საკითხს, უნივერსიტეტის ინტერესებისა და პრიორიტეტული სამეცნეირო-კვლევითი მიმართულებების გათვალისწინებით წყვეტს უნივერსიტეტის რექტორი.

4. აფილირების შეთანხმება

4.1. აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირება ხდება პერსონალსა და უნივერსიტეტს შორის წერილობით შეთანხმების საფუძველზე.

4.2. წინამდებარე მუხლში მითითებული წერილობითი შეთანხმება შესაძლებელია იყოს პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ან გაფორმდეს დამოუკიდებელი ხელშეკრულების სახით.

4.3. აფილირების შესახებ შეთანხმებით შესაძლებელია, განისაზღვროს აფილირების პერიოდი და აფილირებიდან გამომდინარე ვალდებულებების წარმოშობა დაუკავშირდეს მომავლის განსაზღვრულ თარიღს ან/და გარკვეული პირობების დადგომას.

5. აფილირებული პერსონალის მოვალეობები და პასუხისმგებლობა

5.1. უნივერსიტეტში დასაქმებული პირველი კატეგორიის აფილირებული პერსონალი, გარდა შრომითი ხელშეკრულებით, აფალირების შეთანხმებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, ასევე ვალდებულია:

5.1.1. არ იყოს აფილირებული რომელიმე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

5.1.2. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში წარმოადგინოს ინფორმაცია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის შესახებ.

5.1.3. უნივერსიტეტის ფარგლებში განახორციელოს ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

5.1.4. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტში გამართულ ან უნივერსიტეტის მონაწილეობით ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სახის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში.

5.2. აფილირებული პერსონალის მხრიდან წინამდებარე წესით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა მიიჩნევა ხელშეკრულების პირობების დარღვევად და შესაძლებელია გახდეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

5.3. შრომითი ხელშეკრულებისგან დამოუკიდებლად აფილირების შეთანხმების ვადაზე ადრე შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით ან რომელიმე მხარის მიერ ცალმხრივად მეორე მხარის მიერ ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების საფუძვლით.

5.4. აფილირებული პირი, რომელიც დაარღვევს აფილირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ან/და ამ შეთანხმების ფარგლებში/საფუძვლით წარმოშობილ ვალდებულებებს, პასუხს აგებს უნივერსიტეტისთვის ზემოაღნიშნული დარღვევით გამოწვეული ზიანისთვის.

6. უნივერსიტეტის მოვალეობები აფილირებული პერსონალის მიმართ

6.1. უნივერსიტეტი ვალდებულია, შესთავაზოს აფილირებულ პერსონალს ზრუნვა მათ პროფესიულ განვითარებაზე, შემდეგი ღონისძიებების სახით:

6.1.1. გაზრდილი სახელფასო ანაზღაურების დადგენა პირველი კატეგორიის აფილირების შემთხვევაში.

6.1.2. საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

6.1.3. სახელმძღვანელოების, სტატიებისა და სხვა სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების მხარდაჭერა.

6.1.4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით საჭირო ფინანსების გამოყოფა ან/და მათ მოძიებაში დახმარება.

6.1.5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური დატვირთვის შემუშავება.

6.2. უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი, რომელიც ეროვნული ან საერთაშორისო ფონდის მიერ უკვე გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის ამზადებს საპროექტო წინადადებას ან მიმდინარე სემესტრის განმავლობაში უნივერსიტეტის აფილიაციით წარადგენს სტატიას რეიტინგულ (იმპაქტ-ფაქტორიან) სამეცნიერო ჟურნალში დასაბეჭდად, აღნიშნულ სემესტრში თავისუფლდება სავალდებულო 20 აკადემიური საათით დატვირთვისგან. აღნიშნულმა პერსონალმა სემესტრის ბოლოს უნდა წარმოადგინოს პროექტის ან სტატიის წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, მკვლევარს, რომელსაც მოპოვებული აქვს გარე დაფინანსება, იმ მიზნით, რომ კვლევა განხორციელდეს დაგემილ ვადაში, სავალდებულო აკადემიური დატვირთვიდან გამოუთავისუფლდება სემესტრში 20 საათი. აღნიშნულმა პერსონალმა სემესტრის ბოლოს უნდა წარმოადგინოს პროექტის შესრულების ანგარიში.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული წესები და ვალდებულებები წარმოადგენს პერსონალთან გაფორმებული აფილირების შეთანხმების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

7.2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის წესი და უფლებამოსილი ორგანო განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულებით.

7.3. უნივერსიტეტი ვალდებულია, მასთან აფილირებულ პირებს აცნობოს წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შესახებ, ცვლილებების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში.

7.4. წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები ამოქმედდეს დებულებით გათვალისწინებული პირის მიერ წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცების მომენტიდან.